

სს „კრედიო ბანკი“

ფინანსური ანგარიშგება

*2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	17
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	18
6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	18
7. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.....	19
8. კლიენტებზე გაცემული სესხები.....	20
9. ძირითადი საშუალებები.....	22
10. არამატერიალური აქტივები.....	23
11. გადასახადები.....	23
12. სხვა ფინანსური აქტივები.....	26
13. სხვა არაფინანსური აქტივები.....	26
14. ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი.....	26
15. ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში.....	27
16. სხვა ვალდებულებები.....	27
17. საკუთარი კაპიტალი.....	28
18. პირობითი ვალდებულებები.....	28
19. მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.....	29
20. საკომისიო ხარჯი.....	29
21. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან.....	30
22. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	30
23. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი.....	30
24. სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები.....	30
25. რისკის მართვა.....	31
26. სამართლიანი ღირებულებით შეფასება.....	36
27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები.....	39
28. კაპიტალის ადეკვატურობა.....	40

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „კრედო ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „კრედო ბანკის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაი საქართველოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 18 აპრილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<i>2017</i>	<i>2016</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	52,785	67,815
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	19,752	-
წარმოებული ფინანსური აქტივები	7	3,717	12,415
კლიენტებზე გაცემული სესხები	8	514,476	443,429
ძირითადი საშუალებები	9	7,429	7,155
არამატერიალური აქტივები	10	3,741	3,152
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი		2,967	-
მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები	11	578	2,547
სხვა ფინანსური აქტივები	12	4,878	5,115
სხვა არაფინანსური აქტივები	13	4,369	2,362
სულ აქტივები		614,692	543,990
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	7	610	-
გამოშვებული მარტივი თამასუქები		-	578
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხები	14	476,100	410,546
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		-	568
სხვა ფინანსური ვალდებულებები	16	9,092	8,541
სუბორდინირებული ვალი	14	8,420	8,418
სულ ვალდებულებები		494,222	428,651
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	4,400	4,400
გაუნაწილებელი მოგება		116,070	110,939
სულ კაპიტალი		120,470	115,339
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		614,692	543,990

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ

ზაალ ფირცხელავა

გენერალური დირექტორი

ირაკლი ზათიაშვილი

ფინანსური დირექტორი

18 აპრილი, 2018 წ.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები		128,467	125,224
ნაღდი ფული და ნაშთი ბანკებში		1,820	2,344
		130,287	127,568
საპროცენტო ხარჯი			
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული სესხები		(38,804)	(30,464)
სუბორდინირებული სესხები		(893)	(893)
გამოშვებული მარტივი თამასუქები		(40)	(32)
		(39,737)	(31,389)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		90,550	96,179
სასესხო ზარალის გაუფასურების დანარიცხი	8	(9,680)	(9,689)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვის შემდგომ		80,870	86,490
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	19	20,115	18,285
საკომისიო ხარჯი	20	(4,521)	(5,074)
წმინდა საკომისიო შემოსავალი		15,594	13,211
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან	21	(2,168)	(2,472)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	561	1,198
სხვა საოპერაციო ხარჯები		(991)	(149)
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		12,996	11,788
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი	23	(48,440)	(46,522)
ცვეთა და ამორტიზაცია	9,10	(3,346)	(3,276)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	24	(19,982)	(18,501)
არასაპროცენტო ხარჯი		(71,768)	(68,299)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		22,098	29,979
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(1,967)	(3,760)
მოგება პერიოდის განმავლობაში		20,131	26,219
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		20,131	26,219

5-41 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი, 2015 წ.	4,400	84,720	89,120
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	26,219	26,219
31 დეკემბერი, 2016 წ.	4,400	110,939	115,339
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	-	20,131	20,131
დივიდენდები (მე-17 შენიშვნა)	-	(15,000)	(15,000)
31 დეკემბერი, 2017 წ.	4,400	116,070	120,470

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		129,335	129,149
გადახდილი პროცენტი		(38,063)	(30,252)
მიღებული საკომისიო		20,264	17,908
გადახდილი საკომისიო		(4,521)	(5,074)
უცხოურ ვალუტებში განხორციელებული ოპერაციებიდან			
რეალიზებული მოგება		337	2,122
სხვა მიღებული შემოსავალი		269	792
სხვა გადახდილი ხარჯები		(375)	(77)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(48,859)	(45,733)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(21,365)	(17,858)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		37,022	50,977
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>			
წარმოებული ფინანსური აქტივები		3,705	439
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(17,970)	-
კლიენტებზე გაცემული სესხები		(85,447)	(33,090)
სხვა ფინანსური აქტივები		(1,289)	(1,025)
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
სხვა ფინანსური ვალდებულებები		1,449	1,022
გამოშვებული მარტივი თამასუქები		(550)	550
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(63,080)	18,873
გადახდილი მოგების გადასახადი		(3,535)	(5,114)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(66,615)	13,759
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(4,208)	(4,532)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		67	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(4,141)	(4,532)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან და სუბორდინირებული სესხებიდან	14	243,341	145,384
ნასესხები სახსრების და სუბორდინირებული სესხების დაფარვა	14	(170,100)	(137,784)
გადახდილი დივიდენდები	17	(15,000)	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		58,241	7,600
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	5	(2,515)	6,886
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	67,815	44,102
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლო		52,785	67,815

5-41 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

ორგანიზება და ოპერაციები

სს „კრედო ბანკი“ (ყოფილი სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო“) (შემდგომში - „ბანკი“) დაფუძნდა 2007 წელს მდგრადი სასესხო მომსახურების გაწევის მიზნით იმ კერძო მეწარმეებისთვის, რომლებიც ვერ იღებენ საკრედიტო სახსრებს ტრადიციული საბანკო სისტემის მეშვეობით. ბანკი მხარს უჭერს საქართველოში კერძო ეკონომიკის განვითარებას მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებისა და კომპანიებისთვის საკრედიტო და დაკავშირებული მომსახურების მიწოდებით. 2017 წლის 20 მარტს ბანკმა მიიღო საბანკო ლიცენზია საქართველოს ეროვნული ბანკისგან (შემდგომში - „სებ“).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მშობელი კომპანიის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

აქციონერები

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინფორმაცია ბანკის აქციონერების შესახებ ასე გამოიყურება:

აქციონერი	წილობრივი მონაწილეობა, %
სააქციო საზოგადოება „Access Microfinance Holding AG“	60.20%
Triodos SICAV II (Triodos Microfinance Fund)	9.90%
Triodos Custody B.V., Triodos Fair Share Fund	9.90%
ResponsAbility Participations AG	9.34%
ResponsAbility SICAV (Lux) – responsAbility SICAV (Lux) Microfinance Leaders Fund	1.87%
ResponsAbility Management Company S.A., responsAbility Global Microfinance Fund	8.79%

ბანკის აქციონერთა შორის საკუთრების, დივიდენდის მიღებისა და ხმის უფლება განაწილებულია მათ მიერ ფლობილი ბანკის ჩვეულებრივი აქციების პროპორციულად.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მშობელი და საბოლოო მკონტროლებელი მხარე, 60.2% ხმის უფლებით, არის გერმანული კომპანია სს „Access Microfinance Holding AG“.

ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება. ბანკის ოპერაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები ინიშნებიან აქციონერთა საერთო საბჭოს მიერ. ბანკის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო. ბანკის იურიდიული მისამართია: რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა #27, თბილისი, საქართველო.

ბიზნესგარემო

ბანკი ოპერაციებს ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ბანკი მოქმედებს საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს ატარებენ. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციას და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ შემაფერხებელ გარემოებებთან ერთად, კიდევ უფრო ართულებს საქართველოში მოქმედი საწარმოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, თუ რა გავლენას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნესგარემო ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნესგარემო მომავალში შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფას“) შესაბამისად.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული.

ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი (შემდგომში - „ლარი“). ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ბანკმა პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტების ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტები, ინტერპრეტაციები თუ ცვლილებები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეული ცვლილების ხასიათსა და გავლენას:

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: განმარტებითი შენიშვნების ინიციატივა

ცვლილებების თანახმად, საწარმოებს ევალებათ ინფორმაციის წარმოდგენა საფინანსო საქმიანობის შედეგად ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ, როგორც ფულადი ნაკადებით განპირობებული ცვლილებების, ისე არაფულადი ცვლილებების (როგორცაა საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი) ჩათვლით. ბანკმა მე-14 შენიშვნაში წარმოადგინა როგორც მიმდინარე, ისე შედარებადი პერიოდის ინფორმაცია.

საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესულ სხვა ახალ ან გადასინჯულ ფასს-ს არ უმოქმედია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან შედეგებზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, სებ-ისგან მისაღებ ვალდებულებებს, გარდა სავალდებულო რეზერვებისა, შეუზღუდავ მიმდინარე ანგარიშებს და ბანკში შენახულ გრძელვადიან დეპოზიტებს, რომელთა დაფარვის თარიღი გაცემის თარიღიდან სამ თვემდეა და რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სებ-ში სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს პროცენტთან აქტივებს. რეგულაციის თანახმად ბანკს შეზღუდული აქვს შესაძლებლობა გამოიტანოს ხსენებული დეპოზიტები და, შესაბამისად, ისინი არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისათვის. სავალდებულო რეზერვი აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მუხლში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგადაა:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასება (გაგრძელება)

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიპოვება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა ყიდვა-გაყიდვის ყველა გარიგების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მიეკუთვნება „მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების“ კატეგორიას და კლასიფიცირდება სავაჭროდ გამიზნულ აქტივებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი წარმოადგენენ კლასიფიცირებულ და ეფექტურ ჰეჯირების ინსტრუმენტებს. გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებზე ყოველგვარი მოგება და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ყველა სავაჭრო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი წმინდა დებიტორული დავალიანების სახით (პოზიტიური სამართლიანი ღირებულება) ისევე, როგორც შეძენილი ოფციონები, აღირიცხება როგორც აქტივები. ყველა სავაჭრო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი წმინდა კრედიტორული დავალიანების სახით (ნეგატიური სამართლიანი ღირებულება) ისევე, როგორც ჩამოწერილი ოფციონები, აღირიცხება როგორც ვალდებულებები.

ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას განსაზღვრავს პირველადი აღიარებისას. ბანკი არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს სესხებისა და მისაღებ ანგარიშების კატეგორიაში, რომელიც შედგება კლიენტებზე გაცემული სესხებისგან და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან. ბანკი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან და ასევე სხვა კრედიტორული დავალიანებისგან.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკი:

- ▶ აპირებს მათ გაყიდვას დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში;
- ▶ პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით ასახავს მათ მოგებაში ან ზარალში;
- ▶ პირველადი აღიარებისას აკლასიფიცირებს მათ, როგორც გასაყიდად გამოზნულს; ან
- ▶ შესაძლოა დიდწილად ვერ აღადგინოს თავისი საწყისი ინვესტიცია, გარდა კრედიტის გაუარესებით გამოწვეული შემთხვევებისა.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- ▶ თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ბანკი აღიარებს სხვაობას.
- ▶ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს მოგებას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

ამორტიზებული ღირებულება

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება აღირიცხება პირველადი აღიარებისას, მინუს ძირითადი გადახდის თანხები, პლუს ან მინუს კუმულაციური ამორტიზაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით პირველადი აღიარებისთვის და დაფარვის თარიღისთვის შესაბამის ოდენობებს შორის ნებისმიერი სხვაობისთვის, მინუს ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ჩამოწრა. პრემიები ან დისკონტები, მათ შორისო პირველადი ოპერაციის დანახარჯები, შედის შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირებულია ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგება და ზარალი შემდგომი შეფასებაზე

სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტის მოგების ან ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, მოგებაში ან ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

აღიარების შეწყვეტა

ბანკი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც ბანკი გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება ან რომლითაც ბანკი მეტწილად არც გადასცემს და არც იტოვებს საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე. ბანკის მიერ შექმნილი ან შენახული გადაცემული ფინანსური აქტივის პროცენტი, რომელიც ექვემდებარება აღიარებას, აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ბანკი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

აქტივებს, რომლებიც უიმედოდ მიიჩნევა, ბანკი, როგორც წესი, ჩამოწერს ვადის ამოწურვიდან 180 დღის შემდეგ.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი მონაწილეობს სხვადასხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებში, მათ შორის უცხოურ სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებში და სავალუტო სვოპებში (საკომპენსაციო სესხები) უცხოურ სავალუტო და კაპიტალის ბაზრებზე. კონტრაგენტები, როგორც წესი, არიან ადგილობრივი ბანკები.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ან ფასწარმოქმნის მოდელის შესაბამისად, სადაც გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასი და სხვა ფაქტორები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, უცხოური ვალუტიდან წმინდა მოგების/(ზარალის) ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ფლობს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რისკის ჰეჯირების მიზნებისთვის, ეს ინსტრუმენტები არ არის სათანადო ჰეჯირების აღრიცხვისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ ბანკის და ყველა კონტრაგენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ბანკი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველი შესაძლოა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის ვალდებულებას, არსებობს მისი გაკოტრების ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან თუ სავარაუდოა სამომავლო ფულადი ნაკადების კლება ეკონომიკური პირობების ცვლილებიდან გამომდინარე, რაც გამოიწვევს საკონტრაქტო პირობების დარღვევას.

კლიენტებზე გაცემული სესხები

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების შეფასებისას ბანკი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის ან კოლექტიურად არამნიშვნელოვანად მიჩნეული ფინანსური აქტივებისთვის. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია).

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება დაუფარავ ძირითად თანხას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით.

სესხები, მათ შესაბამის რეზერვთან ერთად, ჩვეულებრივ, ჩამოიწერება მაშინ, როდესაც შესაბამისი სესხი 180 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული.

თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, ეს აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო რანჟინგის სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ვადაგადაცილების სტატუსს.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში ზარალის ან მისი მასშტაბის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადახედვა ხდება რეგულარულად განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ნასესხები სახსრები კლასიფიცირებულია, როგორც „ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინებული სესხები“, და წარმოადგენს ადგილობრივი ბანკებისთვის, უცხოური ფინანსური დაწესებულებებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების გადასახდელი თანხების ოდენობას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

თუ ბანკი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიც და სარგებელიც მეიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი იჯარის პერიოდში და შესულია სხვა ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. მოგების გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგების გადასახადი ეხება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღიარებულ სხვა სრული შემოსავლის ან აქციონერთან ოპერაციების მუხლებში შემავალ ერთეულებს. ასეთ შემთხვევაში, მოგების გადასახადის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოსაქვითი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ეხება გაუნაწილებელ მოგებას) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების თარიღისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალებების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წელი</u>
შენობა-ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	2
ავეჯი და ტექნიკა	2-5
ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს, ძირითად საბანკო პროგრამასა და სხვა პროგრამულ უზრუნველყოფას. ლიცენზიები წარმოადგენს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების უფლებას. ძირითადი საბანკო პროგრამა არის კომპიუტერული პროგრამა, რომლითაც იმართება ბუღალტრული აღრიცხვისა და სესხების პორტფელის ღირებულება. სხვა პროგრამული უზრუნველყოფა გულისხმობს ბანკის მიერ შექმნილ შიდა პროგრამებსა და სხვა შექმნილ პროგრამებს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღრიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღრიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის – 2-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

2017 წელს ბანკმა გადააფასა ცალკეული არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა - 5-10 წლის ვადით, რამაც 2017 წლისთვის გამოიწვია ამორტიზაციის ხარჯების შემცირება 225 ლარით.

ანარიცხები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან არასაკონტრაქტო ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღრიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები წარმოდგინდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღრიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი (გაგრძელება)

გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად, წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან კლიენტებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს კრედიტთან დაკავშირებული საქმიანობიდან მიღებულ საკომისიო შემოსავალს. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

საოპერაციო მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო

კლიენტის მიერ ცალკე შესრულებული ოპერაციებიდან გამომდინარე გასამრჯელოს აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულებისას. გასამრჯელო და გასამრჯელოს გარკვეულ სამუშაოებთან დაკავშირებული კომპონენტები აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება უცხოურ ვალუტაში ისევე, როგორც სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის თარიღისთვის სებ-ის მიერ დაწესებული ვალუტის გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგების/(ზარალის) ნაწილში.

არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტებიდან მიღებული წმინდა მოგების/ზარალის ნაწილში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.5922 ლარი და 2.6468 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულო რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის ხელახლა წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

ბანკი აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას გაუნაწილებელი მოგების გახსნაზე კუმულაციური გადასვლის ეფექტის აღიარებით 2018 წლის 1 იანვარს და ხელახლა არ წარადგენს შედარებად ინფორმაციას.

ბანკი ფასს 9-ის მიღების ეფექტის რაოდენობრივი შედეგის განსაზღვრის პროცესშია, თუმცა ამ ეტაპისთვის არ არსებობს აღნიშნული ეფექტის რაიმე გონივრული ან საიმედო შეფასება.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის თანახმად ყველა სავალო ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, კლასიფიცირებულია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგებაში ან ზარალში (სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში). აღნიშნული კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „საბაზისო სასესხო შეთანხმების“ განმარტებას, როგორცაა სესხები „რეგრესის უფლების გარეშე“ ან ჩართული კონვერტაციის ოფციონის მქონე ინსტრუმენტები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, პირველადი აღიარებისას კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება აღნიშნული ინსტრუმენტები:

- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ▶ ინსტრუმენტები, რომელთა მართვა ხორციელდება სხვა საფუძველით, მათ შორის სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

საკუთარ კაპიტალში შემავალი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აუცილებელია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ინსტრუმენტი გამოუთხოვადად არ არის კლასიფიცირებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების წესი თითქმის არ შეცვლილა მიმდინარე ბასს 39-ის მოთხოვნებთან შედარებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კვლავ შეფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ბანკი მოელოს, რომ გააგრძელებს ამჟამად სესხებისა და მისაღები ანგარიშების სახით კლასიფიცირებული ფინანსური აქტივების უმეტესობის შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით.

ბანკმა დაიწყო ფასს 9-ის განხორციელების პროექტი და ხელშეკრულება გააფორმა გარე კონსულტანტთან ფასს 9-ის შესაბამისად დროებითი მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9 ბანკს უწყებს მოთხოვნას ჰქონდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა თავის ამორტიზებული ღირებულებით თუ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში შეფასებულ სავალო ფინანსურ აქტივებზე ისევე, როგორც სასესხო ვალდებულებებსა და ფინანსურ გარანტიებზე. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ არის გაზარდილი, რა შემთხვევაშიც რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება „შემქნილი ან გამოშვებული გაუფასურებული ფინანსური აქტივის“ განმარტებას, რეზერვი ეფუძნება ცვლილებას მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში.

ფასს 9-ით გათვალისწინებული გაუფასურების ზარალის აღიარების ახალი მოდელის თანახმად, არსებობს „სამეტაპიანი“ მიდგომა, რომელიც ემყარება ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას პირველადი აღიარების შემდეგ. პრაქტიკაში ახალი წესები ნიშნავს იმას, რომ საწარმოებს მოუწევთ ყველა პირდაპირი ზარალის აღრიცხვა, რომელიც უტოლდება 12-თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იმ ფინანსური აქტივების პირველადი აღიარებისას, რომლებსაც არ განუცდიათ საკრედიტო გაუფასურება. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, გაუფასურების შეფასება ხდება ფინანსური აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოყენებით.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული ფასს 15, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2016 წლის აპრილში, ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკი ახალი სტანდარტის მიღებას აპირებს მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდით. იგი გადასვლის კუმულაციურ ეფექტს აღიარებს საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვარს და არ გადაიანგარიშებს შედარებად ინფორმაციას.

ფასს 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიანი მოდელი, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელოს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანამდები საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით (ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“). შედეგად, სტანდარტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბანკის შემოსავლის უმეტეს ნაწილზე.

ბანკი ამჟამად აფასებს ფასს 15-ის გავლენას მასზე.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარისა და მოკლევადიანი იჯარის (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით) შემთხვევაში. საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯანავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2018 წელს ბანკი კვლავც შეაფასებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის პოტენციური გავლენას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე.

განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ბანკის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეხედულებები და შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. იხილეთ 26-ე შენიშვნა.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)

სესხების გაუფასურების რეზერვი

ბანკი რეგულარულად გადახედავს სესხებსა და მისაღებ ანგარიშებს გაუფასურებასთან მიმართებაში. გაუფასურების ზარალს ბანკი განსაზღვრავს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით იმ შემთხვევებში, როდესაც მსესხებელს აქვს ფინანსური სირთულეები და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები რთულად მოიპოვება.

ბანკი ასევე აფასებს სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილებას არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს მსესხებელთა ჯგუფის კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე, ან ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომლებიც იწვევს აქტივების ჯგუფზე ვალდებულებების შეუსრულებლობას.

საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობილ შეფასებებსა და ანალოგიური სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. სესხების ან მისაღები ანგარიშების შემთხვევაში „ბანკი“ გამოცდილების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას დაკვირვებადი მონაცემების არსებული გარემოებების შესაბამისად დაკორექტირებაზე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული სესხის გაუფასურების რეზერვის ოდენობების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-8 შენიშვნა.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	19,395	7,316
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	4,154	-
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	15,036	23,497
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში	14,200	37,002
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	52,785	67,815

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული. 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმდინარე ანგარიშების უმეტესობა განთავსებულია „BB“ რეიტინგის მქონე ბანკებში. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის საკრედიტო დაწესებულებებში ლარსა და აშშ დოლარში გამოხატული მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაბრები წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე და ვადიანი ანგარიშების 55.30%-სა და 40.88%-ს (2016 წლის 31 დეკემბერი: ლარი - 23.87%, აშ დოლარი - 10.83%), შესაბამისი თანმიმდევრობით.

6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს სავალდებულო რეზერვს 19,752 ლარის ოდენობით, რომელიც სებ-შია განთავსებული.

2017 წლის 20 მარტის შემდეგ ბანკს მოეთხოვება საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო პროცენტის დეპოზიტების გახსნა საკრედიტო დაწესებულებების მიერ კლიენტებისგან და არარეზიდენტი ფინანსური დაწესებულებებიდან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 7%-ისა და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 20%-ის ოდენობით. აღნიშნულ დეპოზიტზე ბანკი წლიურად 1.25%-მდე გამოიმუშავებს.

(ათას ლარში)

7. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის შემცირების მიზნით (24-ე შენიშვნა). ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესაბამისი აქტივის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2017		2016			
	სამართლიანი ღირებულებები		პირობითი თანხა	სამართლიანი ღირებულება		
	პირობითი თანხა	ვალდებულებები	აქტივების	ვალდებულებები		
უცხოურ ვალუტაში გამოხატული კონტრაქტები						
სავალუტო სვოპები - ადგილობრივი	43,490	3,717	24	96,943	12,415	-
სავალუტო სვოპები - უცხოური	13,528	-	586	-	-	-
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები		3,717	610		12,415	-

ადგილობრივი კონტრაქტები ფორმდება ქართულ და უცხოური არა-ქართულ საწარმოებთან.

2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია შემდეგი ტიპის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები:

სვოპები

სვოპები წარმოადგენს კონტრაქტის ტიპს, რომელიც ფორმდება ორ მხარეს შორის პროცენტისა და უცხოური სავალუტო განაკვეთების მოძრაობების გაცვლის მიზნით წინასწარ შეთანხმებულ (კონკრეტულ) პირობით თანხებზე.

ბანკი ასევე ახდენს ბანკებისგან მიღებული იმ საკომპენსაციო სესხების არაწარმოებული ოპერაციების აგრეგირებას წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სახით (უცხოურ ვალუტაში გამოხატული კონტრაქტები), რომლებიც უზრუნველყოფილია იმავე ბანკებში განთავსებული უცხოური სავალუტო დეპოზიტებით, ვინაიდან ამ ოპერაციების (დეპოზიტის განთავსება და სესხის აღება) შედეგად, რეალურად, იწარმოება ფინანსური ინსტრუმენტები. დასკვნა ეყრდნობა შემდეგ მაჩვენებლებს:

- ▶ მათი შეყვანა ხდება ერთდროულად და ერთმანეთის გათვალისწინებით;
- ▶ მათ ჰყავთ ერთიდაიგივე კონტრაგენტი;
- ▶ ისინი დაკავშირებულნი არიან ერთსადაიმეორეს რისკთან;
- ▶ არ არსებობს ცალსახა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი იმ ოპერაციების ცალ-ცალკე სტრუქტურირებისთვის, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია ერთ ტრანზაქციად;
- ▶ არსებობს პირველადი წმინდა ინვესტიცია, რომლის ოდენობა უფრო მცირეა ვიდრე საჭირო იქნებოდა სხვა ტიპის ისეთი კონტრაქტებისთვის, რომელთაც სავარაუდოდ მსგავსი რეაგირება ექნებოდათ საბაზრო ფაქტორებზე, და მომავალი ანგარიშსწორება.

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხების ჩაშლა კომპონენტების მიხედვით ასეთი იყო:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
აგროსესხები	297,773	272,854
ურბანული სესხები	184,036	164,991
ტურიზმის სესხები	17,439	10,657
სხვა	23,421	5,001
კლიენტებზე გაცემული სესხები, მთლიანი	522,669	453,505
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(8,193)	(10,076)
კლიენტებზე გაცემული სესხები	514,476	443,429

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი

31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვში მოძრაობა ასეთი იყო:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
1 იანვარი	10,076	6,889
წლის დანარიცხი - კოლექტიური გაუფასურება	9,680	9,689
ჩამოწერილი სესხების აღდგენა	4,503	1,656
ჩამოწერილი თანხები	(16,066)	(8,158)
31 დეკემბერი	8,193	10,076

ხელმძღვანელობის შეფასებით, კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურება ეყრდნობა წარსულში ზარალებთან დაკავშირებულ ისტორიულ გამოცდილებას. კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს სასესხო ხელშეკრულების მიხედვით სესხზე ვადაგადაცილებულ შენატანებს, მნიშვნელოვან სირთულეებს მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაში, ბიზნესგარემოს გაუარესებასა და ნეგატიურ ცვლილებებს მსესხებლის ბაზარზე.

ინდივიდუალურად გაუფასურებული სესხები

ბანკი 30 ევროზე მეტი ოდენობით გადასახდელი ნაშთის შემთხვევაში სესხებს ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონედ თვლის. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არცერთი ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხი არ გაუფასურებულა.

სასესხო პორტფელის საკრედიტო ხარისხი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>მთლიანი სესხები</i>	<i>გაუფასურები ს რეზერვი</i>	<i>წმინდა სესხები</i>	<i>მთლიანი სესხების გაუფასურების ს ზარალი, %</i>
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული სესხები	515,055	(4,120)	510,935	0.8%
გაუფასურებული სესხები:				
- ვადაგადაცილება 90 დღეზე ნალები ვადით	4,471	(2,187)	2,284	48.9%
- ვადაგადაცილება 90 დღიდან 1 წლამდე ვადით	3,143	(1,886)	1,257	60.0%
სულ	522,669	(8,193)	514,476	1.6%

(ათას ლარში)

8. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სასესხო პორტფელის საკრედიტო ხარისხი (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>მთლიანი სესხები</i>	<i>გაუფასურები ს რეზერვი</i>	<i>წმინდა სესხები</i>	<i>მთლიანი სესხების გაუფასურები ს ზარალი, %</i>
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული სესხები	443,239	(4,130)	439,109	0.9%
გაუფასურებული სესხები:				
- ვადაგადაცილება 90 დღეზე ნალები ვადით	4,718	(2,075)	2,643	44.0%
- ვადაგადაცილება 90 დღიდან 1 წლამდე ვადით	5,548	(3,871)	1,677	69.8%
სულ	453,505	(10,076)	443,429	2.2%

ბანკს არ აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომ შეაფასოს კლიენტებზე გაცემული ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული სესხების საკრედიტო ხარისხი.

კლიენტებზე გაცემული გადახედილი და ხელახლა შეთანხმებული სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომლებიც სხვა შემთხვევაში განხილული იქნებოდნენ როგორც ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული სესხები, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 7,455 ლარს (2016 წ.: 6,249 ლარი).

სესხის უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

10 ათას აშშ დოლარზე მეტი ღირებულების სესხები უზრუნველყოფილია. უზრუნველყოფის საგნის ძირითადი ტიპები მოიცავს მიწას და სხვა უძრავ ქონებას, ავტომობილებსა და ოქროს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფილი სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება 77,069 ლარი (2016 წ.: 81,417 ლარი), რაც კლიენტებზე გაცემული სრული სესხების 15%-ს (2016 წ.: 18%) შეადგენდა. მითითებული ციფრები ასახავს სესხების საბალანსო ღირებულებას და აუცილებლად არ გულისხმობს უზრუნველყოფის საგნის სამართლიან ღირებულებას.

ყველა მსესხებელს აქვს სიცოცხლის დაზღვევა.

სასესხო პორტფელის ინდუსტრიული და გეოგრაფიული ანალიზი

კლიენტებზე გაცემული სესხები გაიცა საქართველოში მყოფ კლიენტებზე, რომლებიც მოქმედებენ შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
სოფლის მეურნეობა	273,555	256,768
ვაჭრობა	103,074	96,914
მომსახურება	66,259	49,306
სამომხმარებლო	55,077	29,407
წარმოება	14,885	17,938
ტრანსპორტირება	9,723	2,933
საყოფაცხოვრებო	96	239
	522,669	453,505
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	(8,193)	(10,076)
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	514,476	443,429

(ათას ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

2017 წელს ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>მიწა და შენობა- ნაგებობები (მათ შორის, საიჯარო ქონების გაუმჯობესება)</i>	<i>ავეჯი და ტექნიკა</i>	<i>სატრანსპორტო საშუალებები</i>	<i>ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული აღჭურვილობა</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება					
31 დეკემბერი, 2016 წ.	929	6,364	2,516	4,656	14,465
შემოსვლები	248	1,470	575	875	3,168
გასვლები	-	(607)	(100)	(148)	(855)
31 დეკემბერი, 2017 წ.	1,177	7,227	2,991	5,383	16,778
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2016 წ.	(355)	(3,072)	(1,503)	(2,380)	(7,310)
ცვეთის დანარიცხი	(98)	(1,440)	(372)	(852)	(2,762)
გასვლები	-	505	89	129	723
31 დეკემბერი, 2017 წ.	(453)	(4,007)	(1,786)	(3,103)	(9,349)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	574	3,292	1,013	2,276	7,155
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	724	3,220	1,205	2,280	7,429

2016 წელს ძირითადი საშუალებების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>მიწა და შენობა- ნაგებობები (მათ შორის, საიჯარო ქონების გაუმჯობესება)</i>	<i>ავეჯი და ტექნიკა</i>	<i>სატრანსპორტო საშუალებები</i>	<i>ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული აღჭურვილობა</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება					
31 დეკემბერი, 2015 წ.	929	5,212	2,269	3,661	12,071
შემოსვლები	-	1,355	316	1,000	2,671
გასვლები	-	(203)	(69)	(5)	(277)
31 დეკემბერი, 2016 წ.	929	6,364	2,516	4,656	14,465
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი, 2015 წ.	(308)	(1,976)	(1,132)	(1,605)	(5,021)
ცვეთის დანარიცხი	(47)	(1,270)	(396)	(778)	(2,491)
გასვლები	-	174	25	3	202
31 დეკემბერი, 2016 წ.	(355)	(3,072)	(1,503)	(2,380)	(7,310)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	621	3,236	1,137	2,056	7,050
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	574	3,292	1,013	2,276	7,155

იმ სრულად ცვეთადარიცხული ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება, რომელიც ჯერ კიდევ მოხმარებაშია, შეადგენს 835 ლარს (2016 წ.: 1,444 ლარი).

(ათას ლარში)

10. არამატერიალური აქტივები

2017 წელს არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

	ლიცენზიები, უფლებები, პატენტები	ძირითადი საბანკო პროგრამა	სხვა პროგრამული უზრუნველყო ფა	სულ
თვითღირებულება				
31 დეკემბერი, 2016 წ.	3,401	781	456	4,638
შემოსვლები	415	361	397	1,173
31 დეკემბერი, 2017 წ.	3,816	1,142	853	5,811
დაგროვილი ამორტიზაცია				
31 დეკემბერი, 2016 წ.	(934)	(163)	(389)	(1,486)
ამორტიზაციის დანარიცხი	(336)	(97)	(151)	(584)
31 დეკემბერი, 2017 წ.	(1,270)	(260)	(540)	(2,070)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,467	618	67	3,152
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,546	882	313	3,741

2016 წლის არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

	ლიცენზიები, უფლებები, პატენტები	ძირითადი საბანკო პროგრამა	სხვა პროგრამული უზრუნველყო ფა	სულ
თვითღირებულება				
31 დეკემბერი, 2015 წ.	2,082	160	473	2,715
შემოსვლები	1,319	621	-	1,940
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	(17)	(17)
31 დეკემბერი, 2016 წ.	3,401	781	456	4,638
დაგროვილი ამორტიზაცია				
31 დეკემბერი, 2015 წ.	(366)	(53)	(294)	(713)
ამორტიზაციის დანარიცხი	(568)	(110)	(107)	(785)
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	12	12
31 დეკემბერი, 2016 წ.	(934)	(163)	(389)	(1,486)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,716	107	179	2,002
წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,467	618	67	3,152

11. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს:

	2017	2016
მიმდინარე წლის გადასახადის ხარჯი	-	5,823
დროებითი სხვაობების წარმოშობასა და შემობრუნებასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ხარჯი/(სარგებელი)	1,967	(2,063)
მოგების გადასახადის ხარჯი, სრულად	1,967	3,760

(ათას ლარში)

11. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

ბანკის მოგება იბეგრება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის სარგებლის ხარჯის შედარება ასეთია:

	2017	2016
დასაბეგრი მოგება	22,098	29,979
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	3,315	4,497
გამოუქვითავი ხარჯები	200	2,083
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	(271)	(1,151)
ცვლილება სესხზე დანაკარგის რეზერვისა და დაგროვილი პროცენტის საგადასახადო ბაზაში	(665)	(1,511)
ცვლილება საგადასახადო რეგულაციაში (ა)	(612)	(158)
მოგების გადასახადის ხარჯი	1,967	3,760

(ა) 2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ამ ცვლილებების ამოქმედების შემდეგ ბანკმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ხელახლა შეაფასა საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ამოქმედებაც მოსალოდნელია იმ პერიოდში, როდესაც აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების გასტუმრება ხდება. ბასს 12-ის „*მოგების გადასახადი*“ თანახმად, ბანკმა გაუნაწილებელი მოგებისთვის გამოიყენა 0%-იანი საგადასახადო განაკვეთი იმ აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა რეალიზაცია ან გასტუმრება მოსალოდნელია 2019 წლის 1 იანვრიდან ცვლილების ამოქმედების პერიოდებში.

ახალი რეგულაციის შედეგად, ბანკმა აღიარა 612 ლარის ოდენობის გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების შემობრუნების შედეგად მიღებული მოგების გადასახადის სარგებელი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაში ან ზარალში (2016 წ.: 158 ლარი).

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრვას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრვა სცდება ბასს 12-ის „*მოგებიდან გადასახადი*“ მოქმედების არეალს და 2019 წლის

1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას ბანკის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ათას ლარში)

11. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

(b) საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში განსხვავებული რეჟიმები არსებობს კონკრეტული ტიპის ოპერაციების საგადასახადო დაბეგრის თვალსაზრისით. ძირითად განსხვავება მდგომარეობს სესხზე დანაკარგის რეზერვში, რომელიც ბანკებისთვის გამოსაქვით ხარჯს წარმოადგენს. 2017 წლის 20 მარტს ბანკმა მოიპოვა საბანკო ლიცენზია და აღნიშნულის შემდგომ, საქართველოს შემოსავლების სამსახურის წინასწარი საგადასახადო დასკვნის შესაბამისად, ბანკმა გამოქვითა შესაბამისი საგადასახადო რეგულაციების შესაბამისად განსაზღვრული დაგროვილი სასესხო დანაკარგის რეზერვი 2017 წლისთვის მოსალოდნელი დაბეგრის შედეგის შეფასებით. ძირითადად გამოქვითვის შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია ხელმისაწვდომი საგადასახადო ზარალი 8,927 ლარის ოდენობით, რომელიც მომდევნო პერიოდზეა გადატანილი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკმა აღიარა სასესხო დანაკარგის რეზერვთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივი საბანკო ლიცენზიის მიღების შემდგომ გამოსაქვითი ოდენობის ყველა მოსალოდნელი შეფასების საფუძველზე იმ თარიღისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და გადასახადის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობები წარმოქმნის გადავადებულ საგადასახადო აქტივებს 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის.

ბანკს მომავალ პერიოდებზე გადატანილი აქვს საგადასახადო ზარალი 8,927 ლარის ოდენობით, რომლის გამოყენების ვადაც იწურება 2019 წელს. ხელმძღვანელობა აპირებს მომავალ პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალის სრულად გამოყენებას მომავალ წელს და გადავადებული საგადასახადო აქტივი მომავალ პერიოდებზე გადატანილ ზარალზე სრულად აღიარებული იყო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში შემდეგია:

	<i>ნაშთი</i> <i>2015 წლის</i> <i>31 დეკემბრის</i> <i>მდგომარეობით</i>		<i>ნაშთი</i> <i>2016 წლის</i> <i>31 დეკემბრის</i> <i>მდგომარეობით</i>		<i>ნაშთი</i> <i>2017 წლის</i> <i>31 დეკემბრის</i> <i>მდგომარეობით</i>	
	<i>აღიარებული</i> <i>მოგებაში ან</i> <i>ზარალში</i>	<i>აღიარებული</i> <i>მოგებაში ან</i> <i>ზარალში</i>	<i>აღიარებული</i> <i>მოგებაში ან</i> <i>ზარალში</i>	<i>აღიარებული</i> <i>მოგებაში ან</i> <i>ზარალში</i>	<i>აღიარებული</i> <i>მოგებაში ან</i> <i>ზარალში</i>	<i>აღიარებული</i> <i>მოგებაში ან</i> <i>ზარალში</i>
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი						
საგადასახადო ზარალის მომდევნო პერიოდზე გადატანა	-	-	-	1,339	1,339	
სასესხო პორტფელი, გარდა სასესხო დანაკარგის რეზერვისა	370	95	465	(210)	253	
გადავადებული საგადასახადო აქტივები	370	95	465	1,129	1,592	
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი						
სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-	1,512	1,512	(1,936)	(424)	
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	(898)	168	(730)	371	(359)	
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	483	260	743	(878)	(135)	
გადასახდელი ხელფასები და სხვა ვალდებულებებში	598	24	622	(718)	(96)	
სხვა აქტივები	(10)	(16)	(26)	26	-	
წარმოებული ინსტრუმენტები	(59)	20	(39)	39	-	
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	114	1,968	2,082	(3,096)	(1,014)	
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	484	2,063	2,547	(1,967)	578	

(ათას ლარში)

12. სხვა ფინანსური აქტივები

სხვა ფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

	2017	2016
სხვა ფინანსური აქტივები		
ანგარიშსწორების თანხები	3,082	3,678
დაგროვილი სიცოცხლის დაზღვევის გასამრჯელო	1,016	963
თანამშრომლებისგან მისაღები ანგარიშები	517	387
სხვა	878	228
გამოკლებული: სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	(615)	(141)
ფინანსური აქტივები, სულ	4,878	5,115

ბანკმა აღიარა იმ სხვა საოპერაციო ხარჯებად აღიარებული სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის დანარიცხი 615 ლარის ოდენობით (2016 წ.: 141 ლარი).

13. სხვა არაფინანსური აქტივები

სხვა არაფინანსური აქტივები მოიცავს შემდეგს:

	2017	2016
სხვა არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	2,672	1,199
დასაკუთრებული ქონება	776	531
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	570	441
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	351	191
არაფინანსური აქტივები, სულ	4,369	2,362

ბანკი ფლობს დასაკუთრებულ ქონებას, რომელიც წარმოადგენს უმოქმედო სესხების მოგვარების შედეგად ბანკის საკუთრებაში გადასულ მიწას და სხვა უძრავ ქონებას. ბანკი აპირებს ხსენებული აქტივების გაყიდვას ნორმალური საქმიანობის პირობებში.

14. ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი

	2017	2016
ვალი დაფარვის მოთხოვნის უპირატესი უფლებით		
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	297,197	228,036
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>		
ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	178,903	182,510
ვალი დაფარვის მოთხოვნის უპირატესი უფლებით, სულ	476,100	410,546
სუბორდინირებული ვალი		
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	8,120	8,120
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>		
ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული არაუზრუნველყოფილი სესხები	300	298
სულ სუბორდინირებული ვალი	8,420	8,418
სულ ვალი	484,520	418,964

(ათას ლარში)

14. ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხების და სუბორდინირებული სესხების დაფარვის ვადა 2018 წლის იანვრიდან 2023 წლის აპრილამდეა. ასეთი სესხების საპროცენტო განაკვეთები გამოხატულია ლარსა და აშშ დოლარში. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხების და სუბორდინირებული სესხების დაფარვის ვადა 2017 წლის იანვრიდან 2020 წლის დეკემბრამდე მერყეობდა. ასეთი სესხების საპროცენტო განაკვეთები გამოხატულია ლარსა და აშშ დოლარში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს სრულად ჰქონდა შესრულებული ყველა დაკისრებული გარე ფინანსური პირობა.

15. ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

	<i>სხვა ნასესხები სახსრები</i>	<i>სუბორდინირებული სესხები</i>	<i>ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები, სულ</i>
საბალანსო ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	371,496	10,863	382,359
გაცემიდან მიღებული შემოსავალი	145,384	-	145,384
გამოსყიდვა	(135,210)	(2,574)	(137,784)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	27,556	180	27,736
სხვა	1,320	(51)	1,269
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	410,546	8,418	418,964
გაცემიდან მიღებული შემოსავალი	243,341	-	243,341
გამოსყიდვა	(170,100)	-	(170,100)
უცხოური ვალუტის კონვერტაცია	(9,123)	-	(9,123)
სხვა	1,436	2	1,438
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	476,100	8,420	484,520

მუხლი სახელწოდებით „სხვა“ შეიცავს სხვა ნასესხებ სახსრებზე და სუბორდინირებულ სესხებზე დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი პროცენტის ეფექტს. გადახდილი პროცენტი ბანკმა დააკლასიფიცირა, როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები.

16. სხვა ვალდებულებები

	2017	2016
გასაცემი ხელფასები	3,904	4,323
ანგარიშსწორების თანხები	3,838	2,447
საქონლისა და მომსახურებისთვის გადასახდელი ანგარიშები	1,045	827
დარიცხული ხარჯი	130	529
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა	121	60
საგრანტო ვალდებულებები	54	355
	9,092	8,541

(ათას ლარში)

17. საკუთარი კაპიტალი

აქციონერებმა ჯგუფის სააქციო კაპიტალში შენატანი განახორციელეს ლარში და ისინი უფლებამოსილი არიან დივიდენდები და კაპიტალის ნებისმიერი განაწილება მიიღონ ლარში.

2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად გადახდილი კაპიტალი 4,400 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც შედგებოდა 10.00 ლარის ნომინალური ღირებულების 440,000 ჩვეულებრივი აქციისგან. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით.

2017 წლის 13 ივლისს, აქციონერთა საერთო კრებაზე, გაცხადა დივიდენდები 2016 წლისთვის 15,000 ლარის ოდენობით. გაცხადებული დივიდენდები სრულად იქნა გადახდილი აქციონერებისთვის 2017 წელს.

18. პირობითი ვალდებულებები

საკრედიტო ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ბანკი მონაწილეობს კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებში, რომლებიც ამოუღებელ სასესხო ვალდებულებებს შეადგენს.

ბანკს გააჩნია აუნაზღაურებელი კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები სესხების ვადის გაგრძელებისთვის. აღნიშნული კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები გამოხატულია „ნატურისა“ და „მოსავლის“ საკრედიტო ბარათებზე დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტების სახით. ხსენებულ საკრედიტო ბარათებს ფიქსირებული ლიმიტები აქვთ და, ჩვეულებრივ, მათი ვადა გრძელდება რვა თვემდე.

ბანკი საკრედიტო ვალდებულებების გაცემისას იყენებს იგივე საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებს, როგორც კლიენტებზე სესხის გაცემის შემთხვევაში. კლიენტებს, რომლებსაც სესხებზე ოთხ დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვთ, ვეღარ გამოაქვთ ლიმიტის დარჩენილი ნაწილი.

შესაბამისი ამოუღებელი ნაშთები შემდეგია:

	2017	2016
აუთვისებელი ლიმიტი საკრედიტო ბარათებზე	34,912	44,300

სულ აუთვისებელი სახელმწიფო კრედიტთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ვალდებულებები აუცილებლად არ გულისხმობს მომავალში ნაღდი ფულის მოთხოვნებს, ვინაიდან ხსენებულ კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს შესაძლოა ამოწმდეს ვადა ან შეწყდეს დაფინანსების გარეშე. ბანკს გააჩნია უპირობო უფლება ნებისმიერ დროს, შეტყობინების გარეშე გააუქმოს გამოუყენებელი საბარათე ნაშთი.

31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სხვა პირობითი ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	2017	2016
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
არაუგვიანეს 1 წლისა	1,221	-
1-დან 5 წლამდე	2,551	-
	3,772	-
კაპიტალური დაბანდების ვალდებულება	2,197	-
პირობითი ვალდებულებები	5,969	-

(ათას ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

იურიდიული საკითხები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში გაცილებით მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან, ვიდრე სხვა განვითარებულ ეკონომიკებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავებული იყოს და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საგადასახადო ორგანოებს არ აქვთ უფლება დააკისრონ დამატებითი გადასახადები, ჯარიმა ან საურავი, თუ იმ წლის ბოლოდან, რომელშიც საგადასახადო კანონმდებლობა დაირღვა, სამი წელია გასული.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ ბანკის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

დაზღვევა

ბანკს სრულად დაზღვეული აქვს თავისი შენობები და აღჭურვილობა/ტექნიკა. ბანკს აქვს მესამე მხარეთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა, დირექტორებისა და ოფიცრების პასუხისმგებლობის და ბანკის კომპლექსური დაზღვევა.

19. მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

საკომისიო შემოსავალი მოიცავდა შემდეგს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
სესხებთან დაკავშირებული საქმიანობიდან მიღებული გასამრჯელო	18,122	16,004
ანგარიშსწორებიდან და ნაღდი ფულით ოპერაციებიდან მიღებული გასამრჯელო	1,508	2,043
სხვა	485	238
	20,115	18,285

20. საკომისიო ხარჯი

საკომისიო ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
სესხებთან დაკავშირებული საქმიანობიდან მიღებული გასამრჯელო	3,448	3,729
ანგარიშსწორებიდან და ნაღდი ფულით ოპერაციებიდან მიღებული გასამრჯელო	967	1,207
სხვა	106	138
	4,521	5,074

(ათას ლარში)

21. წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან

წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან შედგება:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
გარიგებებიდან	337	1,596
საკურსო სხვაობებიდან	3,933	(9,599)
წმინდა შედეგი უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	(6,438)	5,531
	(2,168)	(2,472)

22. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი მოიცავს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
შემოსავალი გრანტებიდან	396	437
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	67	22
შემოსავალი დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან	52	-
რეზერვის შემობრუნება	-	656
ზარალის ანაზღაურება	-	58
სხვა	46	25
	561	1,198

23. თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი

თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
სახელფასო ხარჯები	42,555	39,043
თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯები	5,885	7,479
	48,440	46,522

თანამშრომლებზე გაწეული სხვა ხარჯები მოიცავს სოფლების საბჭოებისთვის ხელფასებს, ჯანმრთელობისა და საპენსიო დაზღვევას და სხვა თანამშრომელთა გასამრჯელოებს.

24. სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები

	<i>2017</i>	<i>2016</i>
იჯარა და კომუნალური გადასახადები	5,765	5,107
ტრანსპორტირების და სამივლინებო ხარჯები	4,343	3,712
მარკეტინგული, სარეკლამო და გასართობი მომსახურება	1,926	1,847
სამართლებრივი და საკონსულტაციო ხარჯები	1,714	2,248
მარაგები და სხვა მოხმარების საგნები	1,502	1,516
კომუნიკაციის ხარჯები	1,439	1,283
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	719	383
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	574	762
ტრენინგი	493	501
სადაზღვევო ხარჯები	413	235
დაცვა-უსაფრთხოების მომსახურების ხარჯები	188	181
საოპერაციო გადასახადები	121	151
სხვა	785	575
	19,982	18,501

(ათას ლარში)

24. სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)**აუდიტორის ანაზღაურება**

სამართლებრივი და საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს აუდიტორის ანაზღაურებასაც. 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის ბანკის აუდიტორის ანაზღაურება შეადგენს შემდეგს:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო	119	100
სხვა მარწმუნებელი მომსახურების ხარჯები	33	-
	152	100

სხვა პროფესიული მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიმართ გადასახდელმა გასამრჯელოებმა და დანახარჯებმა შეადგინა 41 ლარი (2016 წ.: 42 ლარი).

25. რისკის მართვა

ბანკის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები, მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი პროცესებით, როგორცაა ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, ფინანსური რისკი და საოპერაციო რისკები.

დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო, მის კომიტეტებთან ერთად, ზოგადად პასუხისმგებელია რისკის მართვის ჩარჩოს განხორციელებაზე, ძირითადი რისკის მართვის პროცესზე ზედამხედველობასა და რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვაზე.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკის შემცირების ზომების განხორციელებასა და მონიტორინგზე. დირექტორთა საბჭო ასევე უზრუნველყოფს, რომ ბანკი მოქმედებდეს დადგენილი რისკის პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ანგარიშვალდებულია პირდაპირ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი

აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი სრულად არის პასუხისმგებელი ფინანსური რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვაზე. კომიტეტი პასუხისმგებელია რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

შიდა აუდიტი

ბანკში რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტის მის შედეგებსა და რეკომენდაციებს პირდაპირ წარუდგენს აუდიტის კომიტეტს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის.

საკრედიტო რისკზე მონიტორინგს ახორციელებს საკრედიტო დეპარტამენტი. არსებობს დამტკიცების რამდენიმე დონე სესხის ოდენობის შესაბამისად.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება. თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად. ფინანსური ინსტრუმენტების თითოეული კლასის მაქსიმალური საკრედიტო რისკის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები. უზრუნველყოფის ეფექტი და რისკის შემცირების სხვა მეთოდები მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

სესხის გაცემაზე გადაწყვეტილებას ამტკიცებს ბანკის შესაბამისი დონის საკრედიტო კომიტეტი, სესხის ოდენობისა და ტიპის შესაბამისად. ბანკში არსებობს რამდენიმე დონის საკრედიტო კომიტეტები, დაწყებული სერვის ცენტრის საკრედიტო კომიტეტით და დასრულებული სათავო ოფისის საკრედიტო კომიტეტით.

ფინანსური რისკი

ბანკს გააჩნია სხვადასხვა ტიპის ფინანსური რისკები: ლიკვიდურობის რისკი და საბაზრო რისკი, მათ შორის სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი.

აღნიშნული რისკები კონტროლდება და იმართება მიმდინარე რეჟიმში.

ფინანსური რისკები ფასდება და კონტროლდება ფინანსური რისკის მართვის განყოფილების მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია მთავარ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსთან - აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტთან, რომელშიც შედიან მაღალი რანგის ხელმძღვანელი პირები. აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებაზე, ასევე რისკის პოლიტიკებისა და ლიმიტების განსაზღვრაზე. აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტის მიერ შემუშავებული პოლიტიკა მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტის შეხვედრები რეგულარულად ტარდება. აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტის შეხვედრებზე განიხილება მგრძობელობა ფინანსური რისკების მიმართ და იღებენ გადაწყვეტილებებს რისკის შემცირების თვალსაზრისით. ამასთან, ხდება ნებისმიერ ახალ პროდუქტთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური ფინანსური რისკის ანალიზი და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღება ასეთი რისკების შეფასებასთან, შეზღუდვასა და მართვასთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ნორმალურ და სტრესულ გარემოებებში ბანკი ვერ შეძლებს ვალდებულებების გადახდას შესაბამის ვადებში. აღნიშნული რისკის შეზღუდვის მიზნით ხელმძღვანელობამ მოახდინა დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან დაფინანსებას საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან და სესხებს ადგილობრივი ბანკებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ თანხების დროულად მიწოდებას მოთხოვნის შემთხვევაში. ოვერდრაფტები ადგილობრივი ბანკებიდან ასევე ხელმისაწვდომია გადაუდებელი ლიკვიდურობის საჭიროებების შემთხვევაში.

ლიკვიდურობის მართვა აქტივებისა და ვალდებულებების მართვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მომავალი ფულადი ნაკადების შემოღინება და გადინება ექვემდებარება მუდმივ მონიტორინგს. მოკლევადიანი ლიკვიდურობის გეგმა მუშავდება ყოველი თვის დასაწყისში. გეგმა მოიცავს ყოველკვირეულ ლიკვიდურობის დაგეგმვას მომდევნო ერთი თვის პერიოდისთვის და დეტალურ გეგმას შემდეგი ორი თვის პერიოდისთვის, ასევე პროგნოზებს მომდევნო თორმეტი თვისთვის, რომელთა მომზადებაც ყოველთვიურად ხდება.

გადაწყვეტილებები დაფინანსების შესახებ მიიღება აქტივებ-პასივების მართვის კომიტეტის რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც იმართება სულ მცირე ყოველთვიურად ან უფრო ხშირად, საჭიროების შემთხვევაში.

მდგომარეობის შეფასება ლიკვიდურობის თვალსაზრისით ხდება ყოველთვიურად ლიკვიდურობის მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკაში.

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)**

ამასთან, ბანკის სახაზინო დეპარტამენტი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს ლიკვიდურობის მდგომარეობაზე და უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი ლიკვიდურობის მდგომარეობა შენარჩუნდეს შიდა ლიმიტების შესაბამისად, რომლებიც ემყარება ისტორიულ მონაცემებს და ითვალისწინებს შესაბამის შიდა და გარე ფაქტორებს, როგორცაა დაფინანსების ღირებულება და თანხების გაცემის სეზონურობა. ამგვარად, საჭიროების შემთხვევაში ხაზინას შეუძლია ეფექტურად გამოყოს თანხები ფილიალებისთვის და სხვადასხვა საოპერაციო საჭიროებებისთვის.

ზედმეტი ლიკვიდურობის თავიდან აცილების მიზნით, ხელმძღვანელობა ადგენს მაქსიმალურ ნაღდი ფულის დონეებს. დაშვებულ ზღვარს ზემოთ თანხები განთავსდება ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ადგილობრივ ბანკებში. ადგილობრივი ბანკებისთვის განისაზღვრება კრედიტის ოდენობის ლიმიტები, რომელსაც დირექტორთა საბჭო ამტკიცებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

	<i>მოთხოვნა და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ მთლიანი გადინება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	52,794	–	–	52,794
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	–	19,999	19,999
წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები მთლიანი ანგარიშსწორებით (მისაღები/გადასახდელი პირობითი თანხები)	70	43,479	–	43,549
კლიენტებზე გაცემული სესხები	24,938	334,215	263,262	622,415
სხვა ფინანსური აქტივები	3,718	814	346	4,878
ფინანსური აქტივები, სულ	81,520	378,508	283,607	743,635
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები	7,155	206,944	351,318	565,417
წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები მთლიანი ანგარიშსწორებით (მისაღები/გადასახდელი პირობითი თანხები)	149	40,783	4,465	45,397
სხვა დავალიანება	7,821	1,041	50	8,912
სუბორდინირებული ვალი	–	893	8,671	9,564
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,125	249,661	364,504	629,290
ვადიანობის გეპი	66,395	128,847	(80,897)	114,345

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

	<i>მოთხოვნა და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ მთლიანი გადინება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები მთლიანი ანგარიშსწორებით (მისაღები/გადასახდელი პირობითი თანხები)	43,994	23,949	-	67,943
კლიენტებზე გაცემული სესხები	16,115	38,841	42,759	97,715
სხვა ფინანსური აქტივები	20,447	313,590	208,432	542,469
სხვა ფინანსური აქტივები	4,163	727	225	5,115
ფინანსური აქტივები, სულ	84,719	377,107	251,416	713,242
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები წარმოებული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები მთლიანი ანგარიშსწორებით (მისაღები/გადასახდელი პირობითი თანხები)	8,310	196,532	253,980	458,822
გაცემული გადასახდელი თამასუქები	16,177	32,714	38,452	87,343
სხვა დავალიანება	-	630	-	630
სუბორდინირებული ვალი	5,341	2,785	-	8,126
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	893	9,564	10,457
ვადიანობის გეპი	29,828	233,554	301,996	565,378
ვადიანობის გეპი	54,891	143,553	(50,580)	147,864

სავალუტო რისკი

სავალუტო აქტივებისა და ვალდებულებების თანხვედრა ბანკის წმინდა ღია სავალუტო პოზიციის მონიტორინგის უმთავრესი მეთოდია. ქვედა ცხრილში რაოდენობრივად არის გამოხატული ბანკის წმინდა ღია სავალუტო პოზიცია, როგორც რისკის მართვის მიზნით უცხოურ ვალუტაში ფლობილი წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტით შემცირებული სხვაობა სავალუტო აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. სხვაობა (გეპი) ნებისმიერ ვალუტაში, გარდა ადგილობრივი ვალუტისა, წარმოადგენს პოტენციურ რისკს. უარყოფითი სავალუტო გეპი წარმოადგენს რისკს უცხოური ვალუტის გამყარებასთან, ხოლო დადებითი გეპი წარმოადგენს რისკს უცხოური ვალუტის გაუფასურებასთან მიმართებით. დირექტორთა საბჭო აწესებს სავალუტო პოზიციების რისკს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

	<i>2017</i>			<i>2016</i>		
	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>სხვა ვალუტა</i>	<i>აშშ დოლარი</i>	<i>ევრო</i>	<i>სხვა ვალუტა</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19,265	1,956	1,769	47,336	1,848	814
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	19,752	-	-	-	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	85,298	-	-	156,658	-	-
სხვა ფულადი აქტივები	546	34	-	1,874	10	-
სულ აქტივები	124,861	1,990	1,769	205,868	1,858	814
სესხები და გადასახდელი ანგარიშები	(173,250)	-	-	(275,024)	-	-
სხვა ფულადი ვალდებულებები	(388)	-	-	(1,583)	(268)	-
სულ ვალდებულებები	(173,638)	-	-	(276,607)	(268)	-
რისკის მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	56,440	(1,554)	-	65,008	-	-
წმინდა მდგომარეობა რისკის მართვის მიზნით ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ	7,663	436	1,769	(5,731)	1,590	814

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო კურსის მგრძობელობის ანალიზი

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2017 წლის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალისა და მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა (შემცირებდა): ანალიზი წარმოდგენილია გადასახადის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც ბანკის აზრით მოსალოდნელი იყო ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება.

	2017	2016
აშშ დოლარის 20%-იანი ზრდა ლართან მიმართებაში	1,533	(1,146)
აშშ დოლარის 20%-იანი შემცირება ლართან მიმართებაში	(1,533)	1,146

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების მომავალ დინამიკაზე. ბანკის მიერ კლიენტებზე სესხები გაიცემა ფიქსირებული განაკვეთებით. განაკვეთის ცვლილება შესაძლებელია სესხის განახლების შემთხვევაში. შესაბამისად, ბანკის მიზანია მოიპოვოს დაფინანსება სასურველი ფიქსირებული განაკვეთით, რათა შეამციროს ფასის გადახედვის რისკი დამფინანსებლის მხრიდან. ხელმძღვანელობა მართავს დაფარვის თარიღის გეპს პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, ასევე ახორციელებს მონიტორინგს მარჯაზე სასესხო პორტფელის ფაქტობრივ საპროცენტო განაკვეთსა და დაფინანსების შეწონილ ღირებულებას შორის. ბანკი მუდმივად მუშაობს კონკურენტუნარიანი გარემოს შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის დაწესებაზე და დაფინანსების პირობების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს ინვესტორებთან.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია აქტივები და ვალდებულებები, რომლებსაც აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>მოთხოვნა და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	52,785	-	-	52,785
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	21,007	57,146	436,323	514,476
სულ პროცენტთან აქტივები	73,792	57,146	456,075	587,013
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	19,053	40,089	425,378	484,520
სულ პროცენტთან ვალდებულებები	19,053	40,089	425,378	484,520
საპროცენტო განაკვეთის ვადიანობის გეპი	54,739	17,057	30,697	102,493

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია აქტივები და ვალდებულებები, რომლებსაც აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<i>მოთხოვნა და 1 თვემდე ვადით</i>	<i>1 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	43,994	23,821	-	67,815
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	20,484	52,404	370,541	443,429
სულ პროცენტთან აქტივები	64,478	76,225	370,541	511,244
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	62,618	72,631	283,715	418,964
სულ პროცენტთან ვალდებულებები	62,618	72,631	283,715	418,964
საპროცენტო განაკვეთის ვადიანობის გეპი	1,860	3,594	86,826	92,280

(ათას ლარში)

25. რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა, გარდა საპროცენტო განაკვეთის გეპის ანალიზისა, ასევე ემყარება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მგრძობელობის ანალიზს. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ წმინდა მოგების ან ზარალის მგრძობელობის ანალიზი (ხელახალი განფასების რისკი), 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული პროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების შემოსავლის მრუდისა და მდგომარეობის 100 საბაზისო პუნქტით სიმეტრიული კლების ან მატების გამარტივებული სცენარის მიხედვით, ასე გამოიყურება:

	<u>2017</u>	<u>2016</u>
	<i>მოგება ან ზარალი</i>	<i>მოგება ან ზარალი</i>
პარალელური კლება 100 საბაზისო პუნქტით	(718)	(55)
პარალელური მატება 100 საბაზისო პუნქტით	718	55

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. მოქმედებს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოვალეობების ეფექტურ გადასახვას, შეღწევადობის, ავტორიზაციისა და გადასინჯვის პროცედურებს, თანამშრომლების სპეციალიზირებასა და შიდა აუდიტს. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობასთან შესაბამისობას აკონტროლებს სპეციალური ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება.

საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე მონიტორინგს ახორციელებს საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობის განყოფილება.

ბანკს გააჩნია საოპერაციო რისკის კომიტეტი, რომელიც იკრიბება ყოველკვარტალურად და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. საოპერაციო რისკის განყოფილება ანგარიშვალდებულია საოპერაციო რისკის კომიტეტის წინაშე და მუშაობს საოპერაციო რისკის მიმდებლობის და ეფექტიანობის ძირითად მაჩვენებლებზე, საოპერაციო რისკის ტიპებზე, ბიზნესპროცესის იდენტიფიკაციასა და დაგეგმვაზე საოპერაციო რისკის შეფასების საშუალებებსა და მეთოდებზე, ასევე საოპერაციო რისკის მონიტორინგზე, ანგარიშგებასა და შემცირებაზე ბანკის მასშტაბით.

26. სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცედურა

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

ბანკის ფინანსური განყოფილება განსაზღვრავს ბანკის აქტივების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, სამართლიანი ღირებულების შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ანალოგიურ ინსტრუმენტებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და დისკონტირების განაკვეთებს საანგარიშგებო თარიღისთვის.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია იმ შეფასების მეთოდებით, რომლებიც იყენებენ მნიშვნელოვან არასაბაზრო დაკვირვებად მონაცემებს.

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია

ქვემოთ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება 2017 წლისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, რომლებზეც განაწილებულია სამართლიანი ღირებულების შეფასება. რიცხობრივი მონაცემები ეყრდნობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს:

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:				
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვან ი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვან ი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ	საბალანსო ღირებულება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები წარმოებული ფინანსური აქტივები					
სავალუტო სვოპები	-	3,717	-	3,717	3,717
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	52,785	-	52,785	52,785
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ კლიენტებზე გაცემული სესხები	-	19,752	-	19,752	19,752
	-	-	525,623	525,623	514,476
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები წარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავალუტო სვოპები	-	610	-	610	610
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	-	480,139	-	480,139	484,520

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

	<i>სამართლიანი ღირებულების შეფასება:</i>				
	<i>აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)</i>	<i>მნიშვნელოვანი საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)</i>	<i>მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)</i>	<i>სულ</i>	<i>საბალანსო ღირებულება</i>
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები წარმოებული ფინანსური აქტივები					
სავალუტო ფორვარდები და სვოპები	-	12,415	-	12,415	12,415
აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	67,815	-	67,815	67,815
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	469,916	469,916	443,429
ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი					
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები და სუბორდინირებული სესხი	-	443,486	-	443,486	418,964

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), ასევე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება სავარაუდოდ უახლოვდება მათ სამართლიანი ღირებულებას.

წარმოებული ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს სავალუტო სვოპებს და ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შეფასებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდებია მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით.

(ათას ლარში)

26. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები (გაგრძელება)

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

არაკოტირებული სასესხო ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

27. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

	2017		2016	
	ოპერაციის ფასი	ნაშთი	ოპერაციის ფასი	ნაშთი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება აქტივები				
სხვა ფინანსური აქტივები	-	32	-	-
ვალდებულებები				
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები	-	39,825	-	52,822
სხვა ვალდებულებები	-	-	-	241
მოგება ან ზარალი				
ბანკებიდან და სხვა ფინანსური დაწესებულებებიდან აღებულ სესხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	3,029	-	4,449	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,030	-	1,300	-

მიღებული სესხები და მათთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი წარმოადგენს ოპერაციებს ბანკზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აქციონერებთან. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისთვის დაფარვის ვადა მერყეობს 2018 წლის მარტიდან 2021 წლის ივნისამდე პერიოდში. აღნიშნული სესხები გამოხატულია აშშ დოლარში ან ლარში და მათი საპროცენტო განაკვეთი 6.50%-დან 14.00%-მდე მერყეობს. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებისთვის დაფარვის ვადა მერყეობს 2017 წლის თებერვლიდან 2019 წლის აპრილამდე პერიოდში. აღნიშნული სესხები გამოხატულია აშშ დოლარში ან ლარში და მათი საპროცენტო განაკვეთი 6.50%-დან 11.00%-მდე მერყეობს.

გარიგებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის თანამშრომლის კომპენსაციაში შემავალი სრული ანაზღაურება, რომელიც გამოხატულია მოკლევადიანი სარგებლის სახით:

	2017	2016
ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	1,155	964

(ათას ლარში)

28. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას მის ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა გარე მოთხოვნას.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, ბანკის მიერ ძლიერი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერთათვის დამატებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით.

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი კაპიტალისაგან, რომელიც, შედგება აქციებისაგან, სარეზერვო ფონდისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან გარდა მიმდინარე წლის მოგების/ზარალი, მინუს ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა და არამატერიალური აქტივები. ფასს-ის მიხედვით მიღებული შედეგები გარკვეულწილად კორექტირდება სებ-ის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. საზედამხედველო კაპიტალის მეორე კომპონენტი მეორადი კაპიტალია, სადაც შედის მიმდინარე წლის მოგება/ზარალი, საერთო რეზერვები (არაუმეტეს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა) და სუბორდინირებული გრძელვადიანი სესხი.

2017 წლის 31 დეკემბრამდე საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 9.6%-ის ოდენობით, რაც გამოითვლებოდა სებ-ის დირექტივების საფუძველზე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის სავალდებულო კოეფიციენტი 17.13% იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით ბანკი ასევე ვალდებულია იქონიოს პირველი რიგის მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკებთან შეწონილი აქტივების 6.4%-ის ოდენობით, რაც გამოითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის დირექტივების საფუძველზე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად გამოთვლილი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის სავალდებულო კოეფიციენტი 13.74% იყო.

ზემოაღნიშნული კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის არსებული მეთოდი ძალაში იყო 2017 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული თარიღის შემდგომ იგი ჩაანაცვლა ახალმა მეთოდმა ბაზელ II/III ჩარჩოს შესაბამისად (იხილეთ ქვემოთ).

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ II/III-ის მიხედვით

2017 წლის 18 დეკემბერს, სებ-მა გამოსცა და დაამტკიცა ცვლილებები კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ რეგულაციაში (გადაწყვეტილება #100/04), რომლითაც გადაიხედა მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები, მოიცვა პილარ I-ის მოდელი და განისაზღვრა კაპიტალის კონსერვაციის, სისტემური რისკისა და კონტრციკლური ბუფერები (პილარ I-ის ბუფერები).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და სრული კაპიტალის კოეფიციენტები განისაზღვრებოდა 4,50%-ით, 6,00%-ითა და 8,00%-ით, შესაბამისი თანმიმდევრობით, რომლებზეც დამატებით ბანკი ვალდებული იყო შეენარჩუნებინა პილარ I-ის ბუფერები და პილარ II-ის მოთხოვნები.

კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის განაკვეთი 2.50%-ით, ხოლო კონტრციკლური ბუფერის - 0.00%-ით განისაზღვრა. პილარ I-ის ბუფერების ნებისმიერი ცვლილება სებ-ის დისკრეციას წარმოადგენს.

(ათას ლარში)

28. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ბაზელ II/III-ის მიხედვით (გაგრძელება)

2017 წლის 18 დეკემბერს, პილარ I-ის ბუფერებზე დამატებით, სებ-მა ასევე გამოსცა და დაამტკიცა პილარ II-ის მოთხოვნები. პილარ II-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ კაპიტალის ბუფერებს: არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR), წმინდა GRAPE ბუფერი, საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი და წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს მოუწია არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის განაკვეთის შენარჩუნება 0.74%-ზე, რომელიც პირველადად გამოიყენება მომხმარებლებზე გაცემული უცხოურ ვალუტაში გამოხატული სესხების პროცენტული წილის მიმართ. ყველა სხვა პილარ II-ის ბუფერის განაკვეთი ნოლით განისაზღვრა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბაზელ II/III-ის სრული მოთხოვნების შესაბამისად, ბანკს მოეთხოვებოდა მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის, საერთო პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტისა და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის შენარჩუნება 11.24%-ის, 7.416%-ისა და 9.057%-ის ოდენობით, შესაბამისი თანმიმდევრობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალის ადეკვატურობის ამ კოეფიციენტებს. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო:

	<u>2017</u>
საერთო პირველადი კაპიტალი	112,094
დამატებითი პირველადი კაპიტალი	-
პირველადი კაპიტალი	112,094
მეორადი კაპიტალი	7,552
სულ საზედამხედველო კაპიტალი	119,646
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	765,493
საერთო პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.64%
სრული პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	14.64%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	15.63%

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ გააჩნდა საქართველოს ეროვნული ბანკის ან სხვა მარეგულირებლების მიერ დაწესებული პრუდენციული მოთხოვნები კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. თუმცა, ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებით ბანკს მოეთხოვება კონკრეტული მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2016 წელს ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავდა სესხების კაპიტალთან თანაფარდობის შიდა მიზნობრივი კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც 5.5-ზე ნაკლები იყო:

	<u>2016</u>
სულ ვალდებულებები	428,651
გამოკლებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(67,815)
წმინდა დაფალიანება	360,836
სულ კაპიტალი	115,339
ნასესხები სახსრების კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.13

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაი საქართველოს“ მიერ 2018 წლის 18 აპრილს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.